საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

N 6387/01
08/07/2020

6387-01-2-202007081338

**შპს „სოფმარ 2020"-ს**
**მის:** ქ. ფოთი, თავისუფალი ინდ.ზონა,
(ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური
განვითარების ზონა) ნაკვეთის შიდა № 311

სამინისტრომ განიხილა 2020 წლის 3 ივლისს თქვენ მიერ წარმოდგენილი N10062 წერილი, რომელიც ეხება ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის პუნქტის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტს. სკრინინგის განცხადება სამინისტროში წარმოდგენილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის მიხედვით, რომელიც გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადების მიხედვით დაგეგმილი საქმიანობა - ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვა, დახარისხება და გადატვირთვა არ შეესაბამება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას.

წარმოდგენილი განცხადების მიხედვით დაგეგმილია სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატების დროებითი შენახვა, დახარისხება და გადატვირთვა. ვინაიდან აღნიშნული კონცენტრატები წარმოადგენს ქიმიურ ნივთიერებას/პროდუქტს - დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელმა კანონმდებლობის დადგენილი წესით სამინისტროში განსახილველად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ამასთან წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია კონკრეტული ქიმიური ნივთიერებებისათვის გამოყოფილი საცავის ჯამური მოცულობის შესახებ. გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართით გათვალისწინებული საქმიანობა და ამავე კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის მიხედვით ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ამავე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას, ხოლო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის 29-ე პუნქტის თანახმად, 1 000 მ³ ან

მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და სამინისტროში სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” დადგენილი წესით დაზუსტებული დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე